ივლისი, 2016

NEWSLETTER

- ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ვიცე–
  პრეზიდენტიგადაცემაში "ბიზნეს კოდი"
- ბიზნეს სექტორის შეხვედრა პოლიტიკური
  ცენტრის "გირჩის" ხელმძღვანელ პირებთან
- საქართველოს მეფრინველეთა ასოციაცია დაფუძნდა
- ბიზნეს სექტორი საქართველოს ფინანსთა მინისტრს
- შეხვდა
- ტრენინგი – პრაქტიკულ ციფრული მარკეტინგი
- ბიზნეს სექტორი პოლიტიკურ პარტიას
  "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის" შეხვდა
- Fight Nights Club Georgia

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #8
ტელ.: +995 32 2 14 73 73
მობ.: +995 579 55 55 51
ელ–ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge

ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ვიცე–პრეზიდენტი გადაცემაში "ბიზნეს კოდი"

7 ივლისს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA)
ვიცე–პრეზიდენტმა მიშა კორძახიამ ისაუბრა საქართველოს
შრომის კოდექსის შესახებ გადაცემაში ბიზნეს კოდი.

"დასავლურ, ცივილიზებულ სამყაროში აღიარებული პრინციპების შესაბამისად საქართველოშიც შრომის კოდექსის სრულყოფა უნდა მოხდეს სამი მხარის - სახელმწიფო, დამსაქმებელი და დასაქმებული, დიალოგის საფუძველზე" - განაცხადა მიშა კორძახიამ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს საქართველოს, რომ შრომის კოდექსი მოარგოს ევროპულ სტანდარტებს.

ასოციაციის ვიცე–პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აუცილებელია დიალოგის
დაწყება მთავრობას, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, რათა თითოეული მხარის ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინება მოხდეს
კანონმდებლობის დახვეწის პროცესში.

ბიზნეს სექტორის შეხვედრა პოლიტიკური ცენტრის "გირჩის" ხელმძღვანელ პირებთან

3 ივლისს, ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის ორგანიზებით ბიზნეს სექტორი პოლიტიკურ ცენტრ „გირჩის“ ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის გარფლებში ეკონომიკური ხედვის გაცნობა ბიზნესმენებისთვის. შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ადგილობრივი წარმოების როლი და ადგილი, საგადასახადო და საკანონმდებლო ინიციატივები და მათი განხორციელების გზები.

შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, რამაც საშუალება მისცა ბიზნეს სექტორს პასუხი მიეღოთ მათთვის საინტერესო ნებისმიერ შეკითხვაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და მწაროემობელთა ფედერაცია სამომავლოდ გეგმავენ მსგავსი ტიპის შეხვედრების ორგანიზებას სხვა დაინტერესებულ პოლიტიკურ პარტიებთან მათი ეკონომიკური პროგრამების გაცნობის მიზნით.

საქართველოს მეფრინველეთა ასოციაცია დაფუძნდა

მიმდინარე წლის 15 ივლისს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მეფრინველეთა ასოციაციის ჩამოყალიბებას. მეფრინველეთა ასოციაციის ჩამოყალიბების მიზანია დარგის განვითარება.

კერძოდ:

• მეფრინველეობის ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრის გზებზე ერთობლივი მუშაობა;

• მთავრობასთან კომუნიკაცია;

• ახალი კადრების გაზრდა/კვალიფიკაციის ამაღლება;

• ახალგაზრდების დაინტერესება.

შეხვედრას ესწრებოდნენ მეფრინველეობის დარგში მოღვაწე ბიზნესმენები მთელი საქართველოდან. შეხვედრაზე განიხილეს ასოციაციის სტრუქტურა და წესდება. ასევე იმსჯელეს ასოციაციის ფუნქციონირების დახვეწის გზებსა და საშუალებებზე. შეხვედრაზე დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში ასოციაცია ოფიციალურად დაფუძნდება და იურიდიულ სტატუსს მიიღებს. ასოციაციის დამფუძნებლები და წევრები მიიჩნევენ, რომ გაერთიანებული ძალებით შეძლებენ დარგში ასებული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტას.

ბიზნეს გაერთიანება GEA მხარს უჭერს მსგავსი სექტორული ასოციაციების დაფუძნებას და ფუნქციონირებას.

ბიზნეს სექტორი საქართველოს ფინანსთა მინისტრს შეხვდა

22 ივლისს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის ორგანიზებით ბიზნეს სექტორი ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს შეხვდა.

შეხვედრას, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი და პარტნიორი კომპანიები, განიხილა შემდეგი საკითხები:

ადგილობრივი წარმოების პრობლემატიკა;
საბაჟო და საგადასახადო თემატიკასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები და ინიციატივები;

შეხვედრა წარიმართა დიალოგის რეჟიმში, რამაც საშუალება მისცა კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომ მათთვის აქტუალური ნებისმიერი საკითხი განეხილათ მთავრობის წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართქველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და მწარმოებელთა ფედერაცია სისტემატურად აწყობენ მსგავსი ფორმატის შეხვედრებს ბიზნესსა და მთავრობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით.

ტრენინგი – პრაქტიკულ ციფრული მარკეტინგი

მიმდინარე წლის 15, 16 და 23 ივლისს ბიზნეს გაერთიანება GEA-ს ტრენინგ ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე - „პრაქტიკული ციფრული მარკეტინგი - პრაქტიკა, ტექნიკები, ინსტრუმენტები“.

ტრენინგს ესწრებოდნენ სხვადასხვა კომპანიების ის თანამშრომლები, ვისაც უშუალოდ უწევთ ციფრულ მარკეტინგის სხვადასხვა არხისა და ინსტრუმენტის გამოყენება საკუთარი პროდუქტის ონლაინ პლატფორმაზე ინტეგრაციისთვის.

ტრენინგ პროგრამა შედგებოდა სამი ძირითადი ბლოკისგან - დაგეგმვა, განხაროციელება და ანალიზი. პროგრამის მნიშვნელოვანი უპარატესობა იყო ის რომ პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით მონაწილეებს საშუალება მიეცათ მიღებული ცოდნა მოერგოთ რეალური ქეისებისთვის.

ტრენინგს უძღვებოდა სოციალური მედიისა და ვებ პროექტების კოორდინატორი და საკომუნიკაციო სისტემების სპეციალისტი მერაბ კეჩხოშვილი.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მომავალშიც უზრუნველყოფს მსგავსი თემატიკის ტრენინგების ორგანიზებას, რადგან ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, შესაბამისად, აუცილებელი ხდება როგორც ბიზნესის განვითარების სტრატეგიის, ასევე მარკეტინგული ინსტრუმენტების ახალ ტენდენციებზე მორგება, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის ადგილობრივ ბაზარსა და სპეციფიკაზე ადაპტაცია.

ბიზნეს სექტორი პოლიტიკურ პარტიას "პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის" შეხვდა

მოძრაობა "პაატა ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის" მწარმოებელთა ფედერაციას შეხვდა. შეხვედრა გაიმართა ბიზნეს გაერთიანება GEA-ს და
მწარმოებელთა ფედერაციის ორგანიზებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ პარტიის ეკონომისტების და ინოვაციიების ჯგუფები.მწარმოებელტა ფედერაციაში გაერთიანებულია საქართველოში არსებული 150-ეზე მეტი კომპანია.შეხვედრა მწარმოებელთა ფედერაციის ორგანიზებით გაიმართება და განხილული იყო პარტიის ხედვები, თუ რა ცვლილებებს უნდა ელოდონ კომპანიები პარტიის ეკონომიკური პროგრამებიდან გამომდინარე და რა ხელშეწყობა იქნება სახელმწიფოს მხრიდან არჩევნებში გამარჯვების მხრიდან.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მწარმოებელთა ფედერაციის ორგანიზებითბიზნეს სექტორი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამების გაცნობას განაგრძობს.

Fight Nights Club Georgia

პრომოუტერულმა კომპანია Fight Nights Georgia-მ და სილქ მედიამ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს, რის შედეგადაც სილქ მედიას არხებზე ტრანსლირებული იქნება როგორც LIVE ტრანსლაციები, ასევე საარქივო ბრძოლები და მომზადდება გადაცემათა ციკლი, აღნიშნულ ხელმოწერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული სპორტის, როგორც მედია პროდუქტის განვითარების საქმეში.

ბიზნეს გაერთიანება GEA წარმოადგენს Figfht NIghts Georgia-ს პარტნიორს და მხარს უჭერს მსგავსი სახის ღონისძიებების ორგანიზებას.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #8
ტელ.: +995 32 2 14 73 73
მობ.: +995 579 55 55 51
ელ–ფოსტა: employer@employer.ge
fb/GEA
www.employer.ge